



MES 9 20 0001218956



22/12/2020

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ.თბილისი**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე** - შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი, საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
7. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
8. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი;
9. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
10. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**თამარ რატიანიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნათია მჭედლიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა“ Georgian-American School  
სკოლის დირექტორი - ირმა მესხიშვილი  
სკოლის ხარისხის ჯგუფის წევრე - მეგი ტალახაძე  
სკოლის წარმომადგენელი - ლელა ფიცხელაური

**ა(ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი**

სკოლის დირექტორი - შტეფანი დროლი  
სკოლის გამგეობის წარმომადგენელი - ბარბარა ვატენდორფი  
სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - გიორგი ხუბულური  
სკოლის დირექტორის მოადგილე - ნინო აბაშიძე

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა“ Georgian-American School

ნატო გაბოშვილი  
ლელა ჯაში

**ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი**

ქეთევან ბოტკოველი  
ლელა ფიცხელაური  
პერტე ბაბილუა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით) 2020 წლის 8 დეკემბერს 15:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს ქართულ-ამერიკულ სკოლაში Georgian American School განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. შპს ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.
3. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

### **1. შპს ქართულ-ამერიკულ სკოლაში Georgian American School განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ლელა ჯაშმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორცილდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა Georgian-American School განთავსებულიყო სამ დამოუკიდებელ კორპუსში, სკოლა დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო მიზნებისათვის სარგებლობდა ნინო რამიშვილის ქ. N6 შენობა-ნაგებობით, რომლის საერთო ფართი იყო - 1790.35კვ.მ., ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურისთვის - შოვის ქუჩა N3 შენობა-ნაგებობით, რომლის ფართი იყო - 795.4კვ.მ. ექსპერტის განმარტებით, ქართულ-ამერიკულმა სკოლამ „Georgian-American School“, გაფართოებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის უკეთესი სასწავლო პირობების შეთავაზების მიზნით შეიძინა დამატებითი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 1492.00კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 3312.7 კვ/მ. ფართის საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა.

სკოლა გეგმავდა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები გადაენაწილებინა ახალ დამატებულ ფართში, რომელიც მდებარეობდა, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო რაიონსა და ი. ჭავჭავაძის გამზირი მეორე ჩიხის N5., რომლის საერთო ფართი იყო 3312,7კვ.მ.

ექსპერტის განცხადებით, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა Georgian-American School-ში, რამიშვილის ქუჩაზე, სადაც მიმდინარეობდა დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესი, 18 საკლასო ოთახი, 3 კლას-კაბინეტი და 3 კაბინეტ ლაბორატორია იყო (ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების), საკლასო ოთახები (რამიშვილის ქუჩაზე მთლიანობაში 21 კლასი) აღჭურვილი იყო მოსწავლის ინდივიდუალური სასკოლო მერხებითა და სკამებით (325 ერთადგილიანი მერხი სკამით), რომლებიც შეესაბამებოდა მოსწავლეთა ასაკს. ექსპერტის განმარტებით, მეორე შენობა მდებარეობდა შოვის ქუჩაზე, სადაც მიმდინარეობდა საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი, შენობის მეორე და მესამე სართულებზე განთავსებული იყო 11 საკლასო ოთახი, 1 კლას-კაბინეტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საკლასო ოთახები (შოვის ქუჩაზე მთლიანობაში 12 კლასი) აღჭურვილი იყო მოსწავლის ინდივიდუალური სასკოლო მერხებითა და სკამებით (154 ერთადგილიანი მერხი სკამით), რომლებიც შეესაბამებოდა მოსწავლეთა ასაკს. მესამე, (ახალი) შენობა მდებარეობდა ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც დაწესებულება გეგმავდა საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის წარმართვას, შენობის სართულებზე განთავსებული იყო საკლასო ოთახები, რესურს ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სარელაქსაციო სივრცეები.

ექსპერტის განცხადებით, სამივე შენობაში კლასები აღჭურვილი იყო კომპიუტერებით, პროექტორებითა და ეკრანებით, ჭკვიანი დაფებითა და სხვა სასწავლო აუცილებელი ინვენტარით.

ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა მატერიალური რესურსების სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს ქართულ-ამერიკულ სკოლის Georgian American School ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

## **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ამერიკულ სკოლის Georgian American School (ს/კ 404965169) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## **2. შპს ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ლელა ჯაშმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა მატერიალური რესურსების სტანდარტს.

ამის შემდეგ, ექსპერტმა საუბარი დაიწყო სკოლის ადამიანური რესურსის შესახებ. მისი განმარტებით, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლაში საშტატო განრიგით წარმოდგენილი იყო ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლის გამართულ ფუნქციონირებას, კერძოდ, სკოლას, გარდა დირექტორის, მოადგილისა და ბუღალტერისა ჰყავდა ხარისხის მართვის მენეჯერი და ადმინისტრაციული მენეჯერი, აგრეთვე, სამეურნეო სამსახურის, ბიბლიოთეკის, სამედიცინო სამსახურის, დაცვის და დასუფთავების სამსახურის მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას.

ექსპერტის განცხადებით, შპს ქართულ-ამერიკული სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე, მოთხოვნები ეფუძნებოდა სკოლის შინაგანაწესს. მისი განმარტებით, სკოლის მასწავლებლებს უდასტურდებოდათ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რასაც ასწავლიდნენ, ყველა პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ერთწლიანი განვითარების გეგმა, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება. მან აღნიშნა, რომ

სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი იყო მასწავლებელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი, შინაგანაწესში დეტალურად იყო გაწერილი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლები, შინაგანაწესის მე-6 თავი მთლიანად ეთმობოდა მუშაკის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, შინაგანაწესის მე-2 მუხლის, 3 პუნქტით წარმოდგენილი იყო სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, ზემოაღნიშნულ პუნქტში არ იყო მითითებული სავალდებულო დოკუმენტაციაში ცნობა ნასამართლობის შესახებ, რითაც დარღვეული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და წესის შეწყვეტის წესის შესახებ“ ბრძანების მოთხოვნა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, მიმდინარე წლის 23

ოქტომბერს, სკოლამ წარმოადგინა შპს ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორის ბრძანება N01/19-20, 23.10.2020წ. - „შპს ქართულ-ამერიკული სკოლის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, წარმოსადგენ დოკუმენტაციას დაემატა ცნობა ნასამართლობის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 620 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 620 - ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლას Georgian-American School (ს/კ 404965169), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 620 მოსწავლით.

### **3. ა(ა)იპ- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს

იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ცენტრის წარმომადგენელმა, ნათია მჭედლიძემ, საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა. საბჭოს სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანიც იყო საბჭოს სხდომის ამსახველი ოქმის პროექტის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს წევრებმა და საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა, ლელა ფიცხელაურმა და პეტრე ბაბილუამ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 სექტემბრის N797710 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი.

ექსპერტის განმარტებით, 2010 წელს დაარსებული თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა გერმანული საერთაშორისო სკოლების მსოფლიო ქსელის ნაწილს წარმოადგენდა, რომელთა მთავარი მიზანი იყო სამსახურეობრივი მოვალეობების გამო, საზღვარგარეთ მცხოვრებ გერმანულენოვანი ოჯახების შვილებისთვის, გერმანული სასკოლო აღზრდის შეთავაზება. მისივე თქმით, ამ სკოლების მთავარ კონცეფციას, მეტწილად, კულტურათა შორის დიალოგი წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა მასპინძელი ქვეყნებისა და სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის მატარებელი ბავშვებისათვის გერმანიის კულტურასთან ზიარებასა და საერთო მომავლისთვის მზადებას. თავის გამოსვლაში ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც ყველა მოთხოვნილ სტანდარტს აკმაყოფილებდა.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში მონიტორინგის საფუძველი იყო სკოლის მოსწავლის მშობლის საჩივრის წერილი, რომელიც შესული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. საჩივარში მშობელი იუწყებოდა, რომ მან ვერ მოახერხა შვილის სხვა სკოლაში მობილობით გადაყვანა, რადგან მოსწავლე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში არ ირიცხებოდა.

ექსპერტის განცხადებით, მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის დარღვევის ფაქტები. კონკრეტულად, სკოლის მიერ ცენტრში, რესურსცენტრში, განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრთან გაგზავნილი წერილების, ასევე მშობლების მიერ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენციების, ვიზიტის განმავლობაში გამოვლენილი გარემოებების და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შეჯერების საფუძველზე დასტურდებოდა, რომ სკოლაში სწავლობდა სამი მოსწავლე, რომლებიც პირველ კლასში ჩარიცხვის პერიოდში არ იყვნენ 6 წლისანი, რითაც დარღვეული იყო „ზოგადი განათლების შესახებ“- საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა. ასევე, ექსპერტის განცხადებით, იმ ფაქტის გამო, რომ სკოლაში მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 29 მოსწავლე/ჩარიცხვის უფლების მქონე პირი, რომლებიც არ იყვნენ შეყვანილნი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, დარღვეული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის 127/ნ ბრძანებით დამტკიცებული ”საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მე-14 მუხლის მოთხოვნები. ზემოაღნიშნული ფაქტი და სხვა გარემოებები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა შესაძლებელი იყო შეფასებულიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობად, თუმცა დაწესებულებას ამისი

შესაძლებლობა მიეცა ქართულ და გერმანულ სამინისტროებს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმების, სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისითა და 2020 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული წერილების საფუძველზე.

ექსპერტის განცხადებით, ზემოაღნიშნული ქმნიდა გარკვეულ სამართლებრივ კაზუსს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ფუნქციონირება გაეგრძელებინა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ქუდიქვეშ ან „ზოგადი განათლების შესახებ“- საქართველოს კანონით საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების შესახებ დადგენილი წესით, რაც გაათავისუფლებდა მას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულებისაგან, ან უზრუნველყო სრული შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რაც აღარ შექმნიდა სამართლებრივ პრობლემებს სკოლის მოსწავლეების მობილობასთან ან სკოლის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებასთან და მოსწავლეთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული ჰქონოდა ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, ექსპერტის განმარტებით, საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ექნებოდა საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ იურიდიულ პირს, რომელზეც არ გავრცელდებოდა ამ კანონით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები. ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, თუ დაწესებულება მიიღებდა გადაწყვეტილებას პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებით, გათავისუფლდებოდა სტანდარტის მოთხოვნებისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება წავიდოდა იმ გზით, რომელზეც ისაუბრა ქალბატონმა ექსპერტმა, გათავისუფლდებოდა საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისაგან, ან სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სკოლას ის მოთხოვნები, რომელიც ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ვრცელდებოდა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ რატიანიძემ, დეტალურად განმარტა აღიარების რა ეტაპები იყო გასავლელი საქართველოში, საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებლად. დაწესებულებას რომ განეხორციელებინა პროგრამის აღიარება, ცენტრში უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულიყო უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 მარტის N130 დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ცენტრსა და უფლებამოსილ ინსტიტუტს შორის დაიდებოდა ხელშეკრულება პროგრამის აღიარების თაობაზე, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტებს, წინა ვიზიტის პერიოდშიც თუ იყო მსგავსი საკითხი დამდგარი.

ექსპერტის განცხადებით, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2016 წლის ავტორიზაციის დასკვნას, იმ დასკვნაშიც იყო ყველა ზემოაღნიშნული საკითხი დაფიქსირებული. ამასთან, სხვა გარემოებები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა შესაძლებელი იყო შეფასებულიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობად, თუმცა დაწესებულებას ამისი შესაძლებლობა მიეცა ქართულ და გერმანულ სამინისტროებს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმების და სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისით დათარიღებული წერილის საფუძველზე.



საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტებს, მოსწავლეები რომელთა ასაკი იყო ხუთი წელი, სკოლაში მიღების დროს, სად ფიქსირდებოდნენ.

ექსპერტის განცხადებით, ეს მოსწავლეები ოფიციალურად დარეგისტრირებულები არ იყვნენ და ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტის გამომწვევი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ. კერძოდ, ერთ-ერთი მშობლის საჩივრის წერილი, სადაც იკითხებოდა, რომ მე-5 კლასელი მოსწავლე, რომლის მშობელმაც გადაწყვიტა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის გადაყვანა, აღმოჩნდა რომ არსად იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული, გარდა სკოლის შიდა ბაზისა.

ექსპერტ ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა იმ 29 მოსწავლის სია, რომლებიც იყვნენ გაურკვეველ მდგომარეობაში. სკოლის პოზიცია იყო შემდეგი, მიმდინარეობდა ამ 29 მოსწავლის აღიარების პროცედურა, თუმცა, მისივე თქმით, ორი მოსწავლე 5 წლის ასაკში ჰყავდათ მიღებული სკოლაში. 29 მოსწავლე ნამდვილად ფიქსირდებოდა სკოლის შიდა ბაზაში, მაგრამ არ იყვნენ დარეგისტრირებულები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში ჰყავდათ გერმანიისა და ასევე სხვა უცხო ქვეყნების, შერეული ოჯახების შვილები, მათთან ერთად საქართველოს მოქალაქეები. მისი განმარტებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის მოპოვება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სწორედ საქართველოს მოქალაქეებისთვის სურდათ მიეცათ შესაძლებლობა მობილობის სკოლიდან სკოლაში და სურვილის შემთხვევაში, ჰქონოდათ საშუალება ჩაებარებინათ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საბჭოს წევრმა, ირმა ბარბაქაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რომ ავტორიზაცია არ გულისხმობდა, მოსწავლისათვის, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ატესტატის მიიღებას. მისი თქმით, ავტორიზაცია გულისხმობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურას, რომლის მიზანი იყო სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ექსპერტ, პეტრე ბაბილუას განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა, ვერ შეაფასა დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის თავსებადობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა გასცემდა თუ არა ქართულ ატესტატს ეს საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, ვინაიდან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაფარვის შემდეგ.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს პოზიციის დაფიქსირების საშუალება რომ მიეცა. სკოლაში ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ძირითადი მოსწავლეები მათ დაწესებულებაში არსებული სკოლამდელი აღზრდის პროგრამიდან ირიცხებოდნენ სკოლაში და განმარტა, რომ ყველა ეს ბავშვი ირიცხება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, რომელიც 2015 წელს მოხდა, სკოლაში ჩარიცხა ორი მოსწავლე, რომელთა ასაკი იყო 5 წელი, მაგრამ მისი თქმით, ამის თაობაზე შეატყობინეს შესაბამის დაწესებულებებს. მან აღნიშნა, რომ სკოლაში ასევე, ირიცხებიან საელჩოს წარმომადგენლის შვილებიც, რომლებიც გარკვეული ვადით რჩებოდნენ სკოლაში და ეს მოსწავლეები ფიქსირდებოდნენ EMIS.GE- ზე.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, პანდემიის გამო პროცედურულად გაიწვია იმ 29 მოსწავლის EMIS.GE- ზე დარეგისტრირება, რომელთა სიაც ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს. მისი თქმით, მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცესის დაჩქარება მათ არ შეეძლოთ.

სკოლის დირექტორი ასევე შეეხო სასკოლო სასწავლო გეგმებთან დაკავშირებულ ხარვეზს და განმარტა, რომ მათი სასწავლო გეგმები დამტკიცებული იყო გერმანიაში, შესაბამისი ინსტიტუციის მიერ. ქართულ ენას კი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ასწავლიდნენ და ამის ამსახველი სასკოლო სასწავლო გეგმაც ჰქონდათ პირველიდან მეთორმეტე კლასების ჩათვლით. მისი განმარტებით, ეს სასწავლო გეგმა წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფს და თვლიდნენ რომ ამ საგანში სასწავლო მიზნებს ასრულებდნენ.

დაწესებულების დირექტორმა ისაუბრა ასევე, საერთაშორისო ატესტატის შესახებ. მისი თქმით, მათ ჰქონდათ უფლება საშუალო განათლების ატესტატისა და გერმანული საერთაშორისო აბიტურის (DIA) გაცემისა და ამას გააკეთებდნენ მომავალ წელს, როდესაც მათი მოსწავლეები იქნებოდნენ მე-12 კლასში.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, სკოლას მეორედ ჰქონდა გავლილი ავტორიზაცია ქართული მხრიდან, ბოლო რეავტორიზაცია იყო 2016 წელს. ქართული ავტორიზაციის მოპოვებასთან მიმართებით, სკოლის მიზანს წარმოადგენდა, მათი მოსწავლეების მობილობის უზრუნველყოფა და ასევე, ქართული ატესტატის გაცემა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ძალიან რთული იყო გერმანული მოთხოვნებისა და ამავდროულად ავტორიზაციის მხარის მიერ მოთხოვნების შესრულება.

სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, გაცემული რეკომენდაციებისთვის, რომელიც ეხებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგულაციას, რომლის მიხედვითაც საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული ექნებოდა ხელშეკრულება. რის შემდეგაც საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ექნებოდა საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ იურიდიულ პირს, რომელზეც არ გავრცელდებოდა ამ კანონით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

მოხარულები იყვნენ რომ გაიგეს ამ სამართლებრივი რეგულაციის შესახებ და აუცილებლად იზრუნებდნენ რომ ეს ხელშეკრულება ყოფილიყო გაფორმებული და ასევე, მნიშვნელოვანი იყო ისიც რომ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში სკოლას ჰქონოდა ავტორიზაცია, რათა მოსწავლეებს არ შეფერხებოდათ მობილობა. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სამართლებრივი შეუთავსებლობები, მათთვის ახალი არ იყო. მისი თქმით, დაწესებულება იძულებული იყო ორი სისტემის პირობები დაეკმაყოფილებინა, რომელიც ხან გამოსდიოდათ ხან არა. მან აღნიშნა, რომ 2016 წელს, როდესაც გაიარეს რეავტორიზაცია სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ. სკოლა თავისი ფუნქციონირების მანძილზე ხელმძღვანელობდა გერმანიასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით და აღნიშნულის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის მიერ, 2011 წელს, გაცემული ნებართვით.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს. მისი თქმით, რაკი, ერთი მხრივ არსებობდა მობილობის უზრუნველყოფის ინტერესი, რასაც ადასტურებდა დაწესებულება, ასევე, მეორე მხრივ, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანებისთვის დამატებითი სერვისის შეთავაზების ინტერესი, ხომ არ უფიქრია სკოლას, გაემიჯნა უცხოენოვანი და ქართულენოვანი პროგრამები.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, არ იგეგმებოდა ქართული და გერმანული საგანმანათლებლო პროგრამების გამიჯვნა და უფრო მეტიც, დაწესებულება კულტურათა დიალოგში ხედავდა თავის სიძლიერეს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:15 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, საბჭოს გააჩნდა დაწესებულების მიმართ კითხვები და მოთხოვნები. ამასთან, მოთხოვნები საბჭოს წევრთა აზრით იყო ძალიან პრინციპული. საბჭო ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობას, რომლის ფარგლებშიც სკოლას მოპოვებული ჰქონდა ავტორიზაცია. სახეზე იყო ამ კანონმდებლობასთან საკმაოდ სერიოზული შეუსაბამობები. თავმჯდომარის თქმით, საბჭოს წევრები, რა თქმა უნდა პატივს სცემდნენ, იმას რომ სკოლა სრულად ითვალისწინებდა,

გერმანული სახელმწიფოს წესებს და წარმატებასაც აღწევდა, მაგრამ ამასთან, სკოლა ფუნქციონირებდა საქართველოში და დაწესებულება წარმოადგენდა ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ამიტომ საბჭოს წევრთათვის მიუღებელი იყო ის, რომ სკოლა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ წესებს. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე, ყურადღება გაამახვილა მოსწავლეებზე. მისი თქმით, როდესაც მოსწავლეების აღზრდა მიმდინარეობდა, პირველ რიგში კანონის პატივისცემასა და კანონის მორჩილებას ასწავლიდნენ და სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი პრიორიტეტი საგანმანათლებლო პროცესის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეგებს, სურდათ თუ არა დამატებით მოსაზრების დაფიქსირება.

საბჭოს წევრმა, ავთანდილ აბდუშელიშვილმა ყურადღება გაამახვილა, იმაზე, რომ პირადად მისთვის, როგორც საბჭოს წევრისთვის საკმაოდ რთული იყო გადაწყვეტილების მიღება. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო პატივისცემა მეგობარი ქვეყნების წესისა, მაგრამ ასევე, მნიშვნელოვანი იყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ ყურადღება გაამახვილა ორ არსებულ საკითხზე, მისი თქმით, მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის დარღვევას რაც შეეხებოდა, ამ გადასახედიდან უკვე წარსულ ფაქტებს ვერაფერი ეშველებოდა. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო თუკი სკოლა გააგრძელებდა ფუნქციონირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსგავსი პრეცედენტი აღარ უნდა მომხდარიყო. ხოლო, მეორე საკითხი, რომელიც ეხებოდა პროგრამულ ნაწილს, მისი განმარტებით, 2011 წლის შემდეგ ეროვნული სასწავლო გეგმაცა და კანონმდებლობაც შეცვლილი იყო. შესაბამისად, რაც არ უნდა გრძელვადიანი თანხმობა ჰქონოდა კერძო სკოლას მიღებული საქართველოს ტერიტორიაზე, გაცემული დოკუმენტი საჭიროებდა განახლებას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს. მისი თქმით, სკოლას გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია, რეავტორიზაცია და დაწესებულებამ კარგად იცოდა რა დოკუმენტაცია იყო საჭირო იმისათვის რომ მორგებოდა საქართველოს კანონმდებლობას. მან განმარტა, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა უფრო მეტად მოქნილი იყო და დაწესებულება მარტივად შეძლებდა სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებინა ესგ-თვის.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ის ამ დაწესებულების ყველა ავტორიზაციის მომსწრე გახლდათ და სკოლას ადრეც ჰქონდა მსგავსი პრობლემები. როდესაც სკოლას გერმანული ავტორიზაცია ჰქონდა, მაგრამ შემოდიოდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ითხოვდა ქართულ ავტორიზაციას, მინიმუმ სავალდებულო სტანდარტები უნდა დაეკმაყოფილებინა. მისი თქმით, სკოლას ორჯერ ჰქონდა იმის გამოცდილება, რომ ამ მიმართლებით უნდა ემუშავა და სინქრონიზაცია მოეხდინა ქართულ სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და გააცნო სკოლისთვის ავტორიზაციის გაგრძელების შემთხვევაში ის დათქმები და ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეესრულებინა სკოლას. აუცილებელი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით, რაც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ასევე, საბჭოს თავმჯდომარის თქმით, როგორც 2011 წელს ისე ახლაც შეეძლო და ჰქონდა უფლება სკოლას მიემართა სამინისტროსთვის და შეეთანხმებინა სკოლის სასწავლო გეგმა მისი სპეციფიკის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, როდესაც საბჭოს წევრები მსჯელობდნენ ხარვეზების გამოსასწორებლად სკოლისთვის 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხზე, ისინი მხედველობაში იღებდნენ სკოლის შესაძლებლობებს.


საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რომ 60 დღის განმავლობაში, სტანდარტების მიხედვით მოაწესრიგოს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა პირადი საქმეები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და ყველა მოსწავლე ასახოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ასევე დაწესებულებამ გამჭვირვალედ გაწეროს ყველა ის შიდა ადმინისტრაციული წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და დოკუმენტაცია ცენტრში წარმოადგინოს ქართულ ენაზე.

დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღე ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
მალაზონია დავით



ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შანიძე ნატალია

